სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

23947698513822

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220546242

რეგისტრაციის თარიღი

13.05.2022 წ

ნოტარიუსი: ჟენია ტარტარაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №42
ტელეფონი: 2771600

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის ცამეტ მაისს მე, ჟენია ტარტარაშვილს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ქ. წამებულის გამზ. #42, მომმართა ნანა ნოზაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ის არის შპს "პრიმა სერვისი"-ს დირექტორი და სურს საზოგადოების სახელით შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს კონსტანტინე დგებუაძეს. მე, დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად შპს "პრიმა სერვისი"-ს დირექტორმა ნანა ნოზაძემ (დაბ.:04.06.1965წ. ჩიათურა, პ/ნ 54001001161, მისამართი: თბილისი გიორგი ჩუბინაშვილის ქ. N 31/12, თანახმად ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს "პრიმა სერვისი"-ს შესახებ გაცემული ქ. თბილისის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, 25/02/2022წ. საიდენტიფიკაციო კოდი 400002484) მომმართა. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მას სურდა წინამდებარე მინდობილობის შედგენა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამჩენია. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ: მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი, რასაც ვადასტურებ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ნანა ნოზაძე (პ/ნ 54001001161), როგორც შპს " პრიმა სერვისი"-ს (ს/კ 400002484) დირექტორი ვენდობი კონსტანტინე დგებუაძეს (დაბ.:15.12.1977წ. თბილისი, პ/ნ 01017002402) და ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

იყოს ჩემი, როგორც შპს " პრიმა სერვისი"-ს დირექტორის წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მერიაში, მერიის არქიტექტურის, ზედამხედველობის, ურბანული დაგეგმარების სამსახურებში, თვითმმართველობის ორგანოებში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სააგენტოში, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობს ქალაქი თბილისი , მტკვრის მარცხენა სანაპირო ქსნის ჭუჩისკენ მიმავალ გზასა და რკინიგზას შორის; ქალაქი თბილისი , მტკვრის მარცხენა სანაპირო , ქსნის ჭუჩისკენ მიმავალ გზასა და რკინიგზას შორის(ნაკვეთი 39/061), მიწის საკადასტრო კოდი: 01.12.08.039.162, პროექტის შეთანხმების, პროექტში ცვლილების, ვადის გაგრძელების, მშენებლობის/მიშენების, აივნის გადახურვის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია ყველა პირისგან, დაწესებულებისგან, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს სარეგისტრაციო დოკუმენტებში, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში აღმოფხვრას იგი, შეასრულოს აზომვითი ნახაზები, მიიღოს მშენებლობის ნებართვა/პროექტები, შეიტანოს პროექტში კორექტირება, შეიტანოს ყოველგვარი განცხადება და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტებს და შესარულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობები გაცემულია ერთი წლის (13.05.2023წ.) ვადით.

წინამდებარე მინდობილობას ვადასტურებ მე, ჟენია ტარტარაშვილი სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს, ჟ. ტარტარაშვილის არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა ,,მიმნდობს''. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ათი ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების - "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31.7-ე და 39.1 მუხლისა და დღგ 1.80 ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

მიმნდობი: შპს "ზებო"-ს დირექტორი ნანა ნოზაძე

ნოტარიუსი: /ჟენია ტარტარაშვილი/